



# ტელე-რადიო კომპანია "რიონი"



2, ფალიაშვილის ქ. ქ.ქუთაისი, ტელ.: 0(431) 241470, 211141, 250483 5(77)442224, [www.rionity.com](http://www.rionity.com), [www.radio.rionity.com](http://www.radio.rionity.com), E-mail: [rionity@rionity.com](mailto:rionity@rionity.com).  
რეგისტრირებულია ქუთაისის სასამართლოს მიერ 10.05.1995წ. რეგ. #12/4-10, ს.კ. 212678093, საწესდებო კაპიტალი 2200 ლარი. გენ. დირექტორი თ.ღვინიაძე

# 15 - 2021

15 აპრილი, 2021 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

თქვენ 19-03-2019 წერილის თანახმად შეგახსენებთ, რომ 2006 წლის 20 აპრილის #5 დადგენილებით დამტკიცებული ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკავებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების მიხედვით მომზადებული ქსელის თავისუფალ რესურსთან დაშვების ტარიფის გაანგარიშება შეადგენდა 2218 ლარს თვეში. აქვე გაცნობებთ, რომ ქუთაისის სატელევიზიო ანმაზე ჩვენ მიერ დამონტაჟებული იქნა სილქნეტის ოპტიკური სარელეო ხაზი და მულტიპლექსში არხების გატარებისათვის სილქნეტმა დააწესა 400 (ოთხასი) ლარი, თითოეულ არხზე 100 (ასი) ლარი, რამაც გამოიწვია ჩვენ მიერ დაწესებულ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფის ცვლილება. მეგატე-ისათვის დაშვების ტარიფის გაანგარიშება განისაზღვრა 2318 (ორი ათას სამას თვრამეტი) ლარით თვეში.

ამასთან გიგზავნით 2021 წლის 02 აპრილიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებულ განახლებულ ოფერტას.

დანართი: ორ გვერდზე

პატივისცემით,

თამარ ღვინიაძე

შპს ტ/რ კომპანია „რიონი“-ს

გენერალური დირექტორი

შპს ტელეკომპანია „რიონის“ ზონაში მოქმედი ადგილობრივი  
საეთერო ტელემუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების  
შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.ქუთაისი  
2021 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ქუთაისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

ქუთაისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

- 1.1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;
- 1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.ქუთაისი, ფალიაშვილის #2
- 1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე
- 1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ქუთაისის ზონაში ღია ეთერით SD (2.15 მგბტ/წმ) არხის გავრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს - 2318 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

- 3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:
  - ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
  - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
  - გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
  - დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2021 წლის 02 აპრილიდან და მოქმედებს - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

თამარ ღვინიაიძე  
 ტელე-რადიო კომპანია „ოფერენტი“  
 გენერალური დირექტორი

